ინტერნეტ გვერდზე http://www.tbcbank.ge განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულების“) 8.3.2 პუნქტის შესაბამისად სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

1. **დაემატოს ხელშეკრულების 12.3.9 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** 12.3.9 თუ კლიენტის მიერ პლასტიკური ბარათის მეშვეობით განხორციელებული დავალების თანხა აღემატება დავალებაში მითითებული ვალუტის შესაბამის ანგარიშზე არსებულ ნაშთს, (ან ანგარიშზე საერთოდ არ არის განთავსებული ნაშთი), მიუხედავად ამისა დავალებით მოთხოვნილი თანხა სრულად ჩამოიჭრება დავალების(ტრანზაქციის) თანხის შესაბამისი ვალუტის ანგარიშიდან (აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში). შესაბამისი ვალუტის ანგარიშიზე წარმოიქმნება უარყოფითი ნაშთი არასაკმარისი თანხის ნაწილში, რომელიც იფარება პირველი პრიორიტეტული ვალუტის ანგარიშიდან, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ამ პრიორიტეტული ვალუტის ანგარიშზე არ არის საკმარისი ნაშთი, უარყოფითი ნაშთის დაფარვა განხორციელდება რიგით მომდევნო პრიორიტეტული ვალუტის ანგარიშიდან. თუ არცერთი ვალუტის ანგარიშზე არ არის ჯამურად საკმარისი თანხა, წარმოქმნილი არასანქცირებული ნაშთის გადასაფარად, ხორციელდება თანხის შეგროვება სხავადსხვა ვალუტების ანგარიშებიდან, ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით.